



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N13

ქ.ლანჩხუთი

11.07.2017 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარები“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატი უფროსი) მ/შ ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა გამგებლის წინადადების საფუძველზე. დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი შედგება ორი საკითხისგან. ესენია, 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების პროექტი და 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული

პროექტების მოწონების შესახებ განკარგულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელამემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ შემოსული წერილების ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტექ-სერვისის დაფინანსება გაიზარდოს (სუბსიდირება) 20000 ლარით, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი გაიზარდოს (სუბსიდირება) 4650 ლარით. აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას სარეზერვოს ფონდის 25800 ლარის შემცირების ხარჯზე.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე.

ბინათმშენებლობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 1350 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების

მუხლი 1350 ლარით, ასევე გაიზარდოს ბინათმშენებლობის არაფინანსური აქტივების მუხლი 1150 ლარით ნიგოთის ადმინისტრაციული სახლისათვის კონდიციონერის შესაძენად. ამასთან, ცვლილება შეთანხმებულ იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N1328 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ევროკავშირის პროექტის მონაწილეობით გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის ფარგლებში გამოეყო 14 748 ევრო, რომელიც მიმდინარე წლის 6 ივლისის ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით შეადგენს 40041 ლარს. შეთანხმების საფუძველზე მიზანშეწონილია ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას გამოეყოს პროექტის განხორციელების მიზნით 40041 ლარი სუბსიდის სახით.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება ადგილობრივ ბიუჯეტში წარმოდგენილ ცვლილებებს მუნიციპალიტეტისთვის გრანტის გამოყოფასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა საკითხებთან მიმართებაში აქვს სრულიად ლეგიტიმური პოზიცია. დეპუტატი ნამდვილად არ არის წინააღმდეგი, რომ გაუმჯობესდეს ვინმეს სამუშაო პირობები და ამ მიზნით ნიგოთის ადმინისტრაციული სახლისათვის შეძენილ იქნას კონდიციონერი, მაგრამ რამდენჯერმე დაისვა საკითხი გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისთვის კონდინციონერის შესაძენად. ზაფხულის პერიოდში ისინი იმყოფებიან გაუსადღის პირობებში, მიუხედავად ამისა, დღემდე არავინ დაინტერესებულა მათი მდგომარეობით. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდის დანიშნულება საბიუჯეტო კანონმდებლობით არის დადგენილი. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იგი გადანაწილებულ იქნას წარმოდგენილი მიმართულებით. მისი თქმით, 2011 წლის ნოემბერში ბიძინა ივანიშვილს ერთხელ უკვე გაუგზავნა ღია წერილი. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, დეპუტატი კვლავ აპირებს მიმართოს მას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** სხდომათა დარბაზი დატოვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მომართვის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილება შეთანხმებულ უნდა იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. მან მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, განემარტა, თუ რას ნიშნავს აღნიშნული ჩანაწერი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, **როლანდ ლაშხიას** თქმით, როცა საკრებულოში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა, მაშინ ამ პროცესებში ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. უშუალოდ მუნიციპალიტეტის გამგებლის მონაწილეობით აღნიშნულ სამინისტროში განისაზღვრა გარკვეული პარამეტრები, რომელთა შეცვლა დამოუკიდებლად არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, თუ მუნიციპალურ ბიუჯეტში რაიმე ცვლილება იქნება არგუმენტირებული, ეს

განხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, რა ოდენობის თანხასაც არ უნდა შეეხებოდეს იგი. შესაბამისად, წარმოდგენილი საკითხის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების შემდეგ, იგი შეთანხმებულ იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იწყება ადმინისტრაციული წარმოება და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ მოხდება პროექტის გულდასმით განხილვა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N 55 (11.07. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა. კერძოდ, საკითხი შეეხება სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის ახალი შენობის მშენებლობას. პროექტის ღირებულება შეადგენს 161 545 ლარს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, აღნიშნული მშენებლობისთვის განიხილება ქალაქის N1 საბავშვო - ბაღის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მშენებლობისთვის გათვალისწინებული ადგილი წარმოადგენს საბავშვო - ბაღისა და ბავშვთა დღის ცენტრის „იავნანა“ -ს მიმდებარე ტერიტორიას. სასწრაფო - სამედიცინო სამსახური მუშაობს უწყვეტ რეჟიმში, რომელსაც თან ახლავს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ხმაური, ტრანსპორტის სწრაფი გადაადგილება და სხვა. დეპუტატს მიზანშეუწონლად მიაჩნია შეთავაზებულ ტერიტორიაზე აღნიშნული სამსახურისთვის შენობის აშენება. მისი აზრით, ამ მიზნით უფრო შესაფერისი ადგილი უნდა იქნას შერჩეული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **გიორგი ხელაძის** აზრით, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ია ჩხაიძის** მიდგომა ამ საკითხთან

დაკავშირებით გარკვეულწილად სწორია, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიას მეორე მხრიდან გააჩნია ალტერნატიული გასასვლელი, ასე რომ სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ავტომანქანები გადაადგილებისას პრობლემას ვერ შექმნიან.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე საუბარი არ არის მშენებლობისთვის ტერიტორიის შერჩევაზე, არამედ განიხილება ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონება. მისი თქმით, თუ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არ იქნება მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ ეს პროექტი ვერ განხორციელდება.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, ის ეთანხმება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, ია ჩხაიძეს. სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ავტომანქანების მოძრაობა დაკავშირებულია ხმაურთან და სწრაფ მოძრაობასთან. შეთავაზებულ ტერიტორიასთან გადაადგილებიან ბავშვები, ამიტომ დეპუტატის აზრით, უკეთესია, რომ სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ცენტრი ტერიტორიულად დარჩეს იქ, სადაც ამჟამად არის განთავსებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ საკითხი არის პარლამენტის წევრის, ნინო წილოსანის მიერ ინიცირებული. ამასთან, სრულიად შესაძლებელია, რომ მშენებლობისთვის ტერიტორიის შერჩევასთან დაკავშირებით დეპუტატების მხრიდან გამოითქვას სხვადასხვა მოსაზრება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკითხი მოითხოვს სწრაფ რეაგირებას, რადგან სასწრაფო - სამედიცინო დახმარების ცენტრის დღევანდელი ტერიტორიიდან ავტომანქანების გადაადგილება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან მიხვეულ - მოხვეული გზის გამო. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სუფსის ცენტრში, პოლიციის განყოფილების მიმდებარე ტერიტორია გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არის მუნიციპალური საკუთრება. მან მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ მოსახლეობის მხრიდან არის თხოვნა, რათა იქნებ მოხერხდეს ამ ტერიტორიაზე სახანძრო - სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო - სამედიცინო დახმარების თითო ბრიგადის ლოკალიზება მაინც. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულსა და მიმდებარე სოფლებში 1500 - ზე მეტი კომლია. მოსახლეობას ძალიან ხშირად უწევს სასწრაფო - სამედიცინო დახმარების გამოძახება, ამასთან, ხანძრისა თუ სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს აუცილებელია სახანძრო - სამაშველო სამსახურის დახმარება. ასევე, ავტობანზე გადატვირთული მოძრაობის გამო ხშირია ავარიები. ზოგჯერ, ასეთი შემთხვევების დროს თითოეული წუთიც კი გადამწყვეტია, მაშინ როცა აღნიშნული სამსახურის ავტომანქანები გადაადგილდებიან ქ. ლანჩხუთიდან და გამოძახების ადგილზე მისვლა ხდება გარკვეული დროის შემდეგ, ხშირად კი დაგვიანებით. დეპუტატის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აპირებს შეხვდეს პარლამენტის წევრს, ნინო წილოსანს.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელის, **ზაზა ურუშაძის** განმარტებით, ასეთი საკითხების გადაწყვეტა ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ნიგვზიანში შიდა გზების 5 კილომეტრიანი მონაკვეთი დაზიანებულია მეწყერის შედეგად. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით გაკეთებულია მოთხოვნა, რომლის საფუძველზეც აღნიშნული გზის მოხრეშვის მიზნით გამოიყო 14 000 ლარი, მაგრამ ამით ეს პრობლემა ვერ მოგვარდება. დეპუტატის თქმით, კრიტიკული მდგომარეობაა შაინიძეების უბანთან მისასვლელ გზაზე. ჩიქვეთისა და ბებეთის მოსახვევში აუცილებელია 60 მეტრი სიგრძის ბეტონის გზის საფარის გაკეთება. ასევე, ხაჯალიის რკინიგზის გადასასვლელთან ხალხი ითხოვს 150 მეტრი სიგრძის ბეტონის გზის დაგებას. ნიგვზიანის ცენტრში, რკინიგზის სადგურიდან გუჯანის დასახლებამდე, სადაც ცხოვრობს 50 კომლი, ფუნქციონირებს ერთადერთი მისასვლელი ცენტრალური გზა, რომელზეც წყალი მდინარესავით მოედინება. წვიმიან ამინდში აღნიშნულ გზაზე ვერ გადაადგილდება სასწრაფო - სამედიცინო დახმარების მანქანა, ხოლო ზამთარში ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ფაქტიურად შეუძლებელია. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არის დაპირება, რომ ეკონომიის ხარჯზე გამოიყოფა თანხა დასაპროექტებლად და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** ასევე აღნიშნა, რომ მეწყერის შედეგად დაზიანებულია გია ჭანტურიას, გოჩა კვაჭაძის, თენგიზ ტულუშის სახლები. ასევე, სერიოზული ზარალი მიადგა აფხაზავების ოთხ ოჯახს, დვალიშვილის და ბარამიძის საცხოვრებელ სახლებს. წლების განმავლობაში მეწყერის შედეგად ჩამოწოლილ მიწას მიაქვს თხილის ნარგავები, ხეხილი, დამხმარე სათავსოები, იღუპება საქონელი და ფრინველი. გარდა ამისა, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოფელ არჩეულიდან სოფელ ნინოშვილისკენ მიემართება მხოლოდ ერთი საავტომობილო გზა, რომელზეც ჩამოშლილია 10 მეტრი სიგრძის მონაკვეთი. გასულ წელს ეს გზა მოიხრეშა, მაგრამ ყოველი წვიმის შემდეგ ხდება ხრეშის გადარეცხვა და საბოლოოდ, სოფელი ნინოშვილი მოწყდება გარე სამყაროს. ამიტომ აუცილებელია გზის ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგება. დეპუტატის აზრით, გზების მოსახრეშად გამოყოფილი თანხები ფაქტიურად წყალში გადაყრილია, რადგან ისინი თავიდანაა გასაკეთებელი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილია დაახლოებით 1 010 000 ლარი, რომელიც გადანაწილდა ყველა სოფელზე მათ მიერ გაკეთებული მოთხოვნების შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, მისი მხრიდან მოთხოვნა იყო გზაზე ბეტონის საფარის დაგებასთან დაკავშირებით. დეპუტატი ნიგვზიანში გზების მოხრეშვის კატეგორიული წინააღმდეგია.

გამგებობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ პროექტების მიხედვით თანხა გადანაწილებული და გადაგზავნილია, ასევე დასახელებებიც. გზების მოხრეშვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ ყოფილა მიღებული, არამედ გამგებლის წარმომადგენლის მიერ იყო გადმოცემული, რომ ნიგვზიანში გზებზე აუცილებელია მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარება.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი“ -ს თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 14 – 15 ივნისის სტიქიის მიერ მიყენებული ზიანიდან შეირჩა მხოლოდ ისინი, რომელთა სარეაბილიტაციო სამუშაოებსაც ეყოფოდა გამოყოფილი თანხა. დეპუტატი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა გადაგზავნილი პროექტების გადახედვა და შეცვლა, რადგან მისი თქმით, იმ პრობლემებმა, რომლებიც ამ სტიქიამ გამოიწვია, თანდათან იჩინა თავი.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ეს პროექტი უშუალოდ ეხება მიმდინარე წლის 14 – 15 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს. სტიქიასთან დაკავშირებით შეიქმნა კომისია, რომლის მიერ აღირიცხა შექმნილი პრობლემები. შესაბამისად, მათი გათვალისწინებით მოხდა პროექტების გაკეთება, რომლებიც დასახელების მიხედვით თანხობრივად გადაგზავნილი და შეთანხმებულია. ეს არის სტიქიასთან დაკავშირებული საკითხები და არა ინფრასტრუქტურული პროექტები. გარდა ამისა, ისინი შეხვდნენ გამგებლის წარმომადგენლებს სათითაოდ ყველა სოფელში. ადგილზე იქნა დათვალერებული და ჩანიშნული ინფორმაცია სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ. მისი თქმით, აბსოლუტურად ყველა შემთხვევა,, რომელიც სოფლებიდან იქნა გადმოცემული, შესაბამისად გათვალისწინებულია პროექტის შედგენისას.

დეპუტატი **თეიმურაზ ალექსაია** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულიდან გადმოცემული სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ და რა თანხაა ამ კუთხით გამოყოფილი.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძის** თქმით, ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულიდან გადმოცემული ინფორმაცია აუცილებლად იქნება გათვალისწინებული პროექტში და თანხაც შესაბამისად გამოყოფილი.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** მიმართა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს, რომ ასეთი გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დეპუტატების საქმის კურსში ჩაყენება. გარდა ამისა, 2 წელია შემოტანილია განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ შუხუთში ათი ოჯახი იტბორება. დეპუტატს იმედი ქონდა, რომ ეს ფაქტი გათვალისწინებული იქნებოდა პროექტში, მაგრამ ამაოდ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** კიდევ ერთხელ განმარტა, ეს პროექტი უშუალოდ ეხება მიმდინარე წლის 14 – 15 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ დეპუტატები უნდა აყენებდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას საქმის კურსში და აწვდიდნენ ინფორმაციას და არა, პირიქით. ყველა ის შემთხვევა, რომელიც მიწოდებულ იქნა დეპუტატების მიერ, გათვალისწინებულია პროექტში.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** მადლობა გადაუხადა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ პროექტის მიხედვით ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში დაბლაცყელას გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 30 000 ლარამდე, მაგრამ

სამუშაოები უნდა შესრულდეს ხარისხიანად და ნორმალურად და არა ისე, როგორც წინა შემთხვევისას ქონდა ადგილი. დეპუტატის აზრით, ტენდერში მონაწილე კომპანიებს არ უნდა მიეცეს პროექტებთან დაკავშირებით ბევრი თანხის დაკლების უფლება. ამასთან, პროექტი არ უნდა იყოს გათვლილი იმაზე, რომ შემსრულებელს სამუშაოების დასრულების შემდეგ რაც შეიძლება მეტი თანხა დარჩეს.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ სამუშაოები სრულდება როგორც ხარისხიანად, ასევე პროექტის შესაბამისად და არა ვინმეს სურვილის მიხედვით. მათ არ აქვთ ტენდერის დროს რაიმე თანხის მოკლების უფლება, რადგან ტენდერს წარმოდგენილი პირობების შესაბამისად იგებს ესა თუ ის კომპანია. ამასთან, არც ერთი პროექტის გათვლა არ ხდება იმის მიხედვით, რომ შემსრულებელს რაც შეიძლება მეტი თანხა დარჩეს.

საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარები“ თავმჯდომარემ, **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ 16 000 ლარი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ გამოიყო ასეთი მცირე როდენობის თანხა, მაშინ როცა 5 ოჯახი ფაქტიურად მოწყვეტილია აკეთის ცენტრს, ხოლო შიდა გზები მოსაწესრიგებელია. ამას გარდა, აკეთის მკვიდრი, გაბრიელ წულაძის სახლი მეწყერის შედეგად ძლიერ არის დაზიანებული. ყოველივე ამის შესახებ აკეთის ადმინისტრაციული ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ თავის დროზე მიწოდებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ყველა ის შემთხვევა, რომელიც გადმოცემულ იქნა აკეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან, შესულია პროექტში. რაც შეეხება მეწყერის შედეგად დაზიანებულ სახლს, ეს საკითხი არ იქნა გათვალისწინებული, რადგან ამ პროექტის ფარგლებში ამ მიზნით თანხის გამოყოფა არ შეიძლება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქ. ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობისთვის პროექტის მიხედვით გამოყოფილია 708 888 ლარი. თავიდან გათვალისწინებული იყო 900 000 ლარამდე. დეპუტატი დაინტერესდა, არის თუ არა ეს ახლად გამოყოფილი თანხა და კონკრეტულად რა სამუშაოები ჩატარდება ამ ფინანსებით. ქალაქის ადმინისტრაციული შენობის წინ გაკეთებული შადრევნის გარდა იგეგმება თუ არა სკვერების კეთილმოწყობა, მაშინ როცა დეპუტატი, ამირან ქანთარიას მიერ რამდენჯერმე იქნა საკითხი დასმული კლინიკა „ჯანმრთელობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის გაკეთებასთან დაკავშირებით. ასევე მოსაწესრიგებელია გორგასლის და გვარჯალაძის ქუჩები და იქ მდებარე მრავალსართულიანი ბინების შიდა ეზოები, სადაც გაუსადმლისი მდგომარეობაა.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ეს არის სრული თანხა. პროექტი განხილული იქნა 2015 წელს და მასში წარმოდგენილია მთლიანი ნუსხა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის კეთილმოწყობა დაიწყო 2 წლის წინ. ქალაქის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდება სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე კეთილმოწყობა მეორე სკვერი. გაკეთდება მინი სტადიონი, კლინიკა „ჯანმრთელობა“-სთან შეიღობება და მოწესრიგდება მიმდებარე ტერიტორია. აგრეთვე, ბენზინგასამართ სადგურთან

მოწესრიგდება ე.წ. „სამკუთხედი“. ამჟამად მიმდინარეობს ტროტუარებზე ფილების დაგება. უნდა ჩატარებულიყო ტროტუარის მეორე მხარეს ფილების სარემონტო სამუშაოები, მაგრამ შემსრულებელი კომპანია აგებს ახალს. რაც შეეხება გამოყოფილ 700 000 ლარს, იგი მოხმარდება გზებზე შავი საფარის დაგებას. ქუჩების ჩამონათვალი წარმოდგენილია პროექტში.

საერთო ჯამში მუნიციპალიტეტისთვის ამ კუთხით გამოყოფილმა თანხამ შეადგინა დაახლოებით 2 მილიონი ლარი. შესაბამისად, წარმოდგენილია იმ პროექტების სია, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებული იყო აღნიშნული თანხით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვადის** თქმით, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლმა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს ოპერატიულად მიაწოდა ინფორმაცია სტიქიის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ. ადიდებულმა ღელემ რაც კი ხე - ტყე და ნაგავი იყო, ჩაიტანა ჩიბათის ეკლესიის ეზოში და დააზიანა ნაპირსამაგრი გაბიონი. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ არ არის აღნიშნული საკითხი შეტანილი პროექტში. მან თხოვნით მიმართა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს, ლევან ჩხაიძეს, რომ გადაიხედოს პროექტი და ჩაუტარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები ეკლესიის ნაპირსამაგრ გაბიონს. ამასთან გაირკვეს, თუ რატომ არ მოხდა ამ საკითხის გათვალისწინება და ყველას მოეთხოვოს სათანადო პასუხი.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** გამოთქვა უკმაყოფილება, რომ უბნები, სადაც სერიოზული პრობლემები გამოიწვია სტიქიამ, არ არის შეტანილი პროექტში, მაშინ როცა პირადად მიაწოდა ინფორმაცია არსებული მდგომარეობის შესახებ გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორი ზიანი მიაყენა სტიქიამ სოფელ შუხუთის მოსახლეობას, მაგრამ გამოიყო 40 000 ლარი. დეპუტატის თქმით, მათ არავინ აყენებს საქმის კურსში.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ დეპუტატები უნდა აწვდიდნენ შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის გამგებელს და შესაბამის სამსახურებს და არა, პირიქით.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები მოქალაქისთვის შეძენილ იქნა სახლი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელს, ასევე საკრებულოს გაწეული დახმარებისა და ხელშეწყობისთვის.

საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** თხოვნით მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას და გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურს, გათვალისწინებულ იქნას აცანის მკვიდრის, ლოლა ორაგველიძის შემთხვევა, რათა გაეწიოს შესაბამისი დახმარება.

საკრებულოს ფრაქციის, „მაჟორიტარები“ თავმჯდომარემ, **გოგი მორჩილაძემ** კიდევ ერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება, რომ აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა ძალიან დაიჩაგრა, რადგან გამოყოფილი თანხით შეუძლებელია სტიქიის შედეგად შექმნილი პრობლემების მოგვარება.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ყველა ის შემთხვევა, რომელიც მოწოდებულ იქნა სოფელ აკეთიდან, გათვალისწინებულია პროექტში. თავიდან გადაცემული იყო 41 000 ლარი, მაგრამ ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ამოღებულ იქნა სახლთან დაკავშირებული საკითხი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სახლის შექმნა ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში ვერ განხორციელდება, რადგან მეწყერთან დაკავშირებულ თემებს განიხილავს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. შესაბამისად, სამინისტროში გაგზავნილია წერილი. ამასთან, მუნიციპალიტეტის გამგებელი პირადად ესაუბრა მინისტრის მოადგილეს და ამჟამად საკითხი არის განხილვის სტადიაში. დაზარალებული ოჯახისთვის თანხის გამოყოფამდე ისინი გაყვანილი იქნებიან ქირავნობის პროგრამით. მათზე ერთხელ უკვე გაიცა ერთჯერადი დახმარება და მომავალშიც გაეწევთ გარკვეული შემწეობა. რაც შეეხება სხვა ოჯახებს, მათგან ერთი დაფინანსდა, ხოლო დანარჩენ ორ ოჯახს წლის ბოლომდე აუცილებლად გამოეყოფა შესაბამისი თანხა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ იმ ადგილას, სადაც გზა არის დაზიანებული, მიწა ჩაწეულია რამდენიმე მეტრზე, ამასთან იქ მოსახლეობა არ ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, სამუშაოების ჩატარებას და ზედმეტი თანხის დახარჯვას აზრი არ აქვს.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ პრობლემა მეტ - ნაკლებად ყველა სოფელშია, მაგრამ თანხა არასდროს არ არის საკმარისი. მისი აზრით, მთავარია გამოყოფილი ფინანსების ათვისება მოხდეს მაქსიმალურად კანონზომიერად, რათა მიღწეულ იქნას მაღალი სარგებლიანობა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შემდეგ გუბერნატორთან ერთად იმყოფებოდა რამდენიმე სოფელში, რათა ადგილზე მოენახულებინათ შექმნილი მდგომარეობა. მისი თქმით, იმ სოფლების არც ერთი დეპუტატი არ მოსულა არსებული სიტუაციის სანახავად. გარდა ამისა, სოფლებიდან გადმოცემული ინფორმაცია გააკონტროლა პირადად, ხოლო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური კიდევ ერთხელ დაუკავშირდა გამგებლის წარმომადგენლებს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა პროექტი გადაგზავნილი. მართალია, რომ დაფინანსება არ არის საკმარისი, რათა ყველა პრობლემა სრულად მოგვარდეს, მაგრამ ამ ეტაპისთვის ეს არის მაქსიმალური თანხა, რისი გამოყოფაც შეიძლებოდა. ამას გარდა, სოფლებში კეთდება ხიდები, ხოლო ქალაქში ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ რა ინფორმაცია იყო მოწოდებული და რა არა. ყველას მოეთხოვება სათანადო პასუხი, თუ რაიმე შემთხვევის გამოტოვება მოხდა შეგნებულად, მაგრამ მისი აზრით, ასეთ ფაქტს არ უნდა ქონდეს ადგილი.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ ტენდერებთან დაკავშირებით სრულიად ეთანხმება დეპუტატ დავით ჩხარტიშვილს. მან წინადადებით მიმართა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქნებ მოხერხდეს და ერთი და იგივე კომპანიებმა არ მოიგონ ტენდერები. ამასთან, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ ინდ. მეწარმეებს და მოხდეს ხელშეწყობა, რომ მათ მიერ რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდეს. დეპუტატი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ როგორც სასტუმროს სახურავის გაკეთებასთან დაკავშირებით მოხდა თხოვნა პირდაპირი

შესყიდვით გადაცემაზე, სხვა შემთხვევაშიც გადაეცეს ადგილობრივ მეწარმებს პროექტები შესასრულებლად.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ყველა პროექტზე უნდა გამოცხადდეს ტენდერი და არც ერთი პროექტი არ იქნება პირდაპირი შესყიდვის წესით გადაცემული. იმის გაკონტროლება, თუ ვინ მოიგებს ტენდერს, შეუძლებელია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია სოფელ ნიგვზიანში გზების მოხრეშვის. ამასთან, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ხიდის გაკეთება.

გამგებობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ხშირად ძველი დაზიანებების შესახებ მიეწოდება ინფორმაცია, როგორც სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი. დაზიანება უნდა იყოს სტიქიის შედეგი და არა ინფრასტრუქტურული პროექტი.

დეპუტატ, **დავით ჩხარტიშვილის** აზრით, პროექტში უნდა ჩაიდოს მაქსიმალურად ბევრი სამუშაოების შესრულება, რადგან მისი დასრულების შემდეგ დარჩება შედარებით მცირე თანხა, აქედან გამომდინარე, მსხვილი კომპანიები არ მიიღებენ მონაწილეობას ტენდერში და ადგილობრივ მეწარმეს ექნება მეტი შანსი.

გამგებობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ პროექტის გაკეთებას აქვს თავისი წესი, რომლითაც გაიანგარიშება და მიიღება საბოლოო თანხა. ამასთან, ერთი და იგივე პროექტზე სხვადასხვა თანხის ჩადება არ შეიძლება.

მუნიციპალიტეტის გამგებელის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, ტენდერის პრინციპი არის ის, რომ დარჩეს ეკონომია და სახელმწიფომ არ იზარალოს. ამასთან, მეწარმეს უნდა ქონდეს გარკვეული მოგება. არსებობს, შკალა, სადაც ჩამოთვლილია ამ თუ იმ სამუშაოების ღირებულება, ასევე გათვლილია მეწარმის მოგება. შეიცვალა ტენდერებთან მიდგომებიც. არის სააგენტო, რომელთან შეთანხმების შემდეგ ცხადდება ტენდერი და შესაბამისად, აკონტროლებს მას. სატენდერო კომისიას, შეცდომების დაშვების შემთხვევაში ეკისრებათ სოლიდური ჯარიმები. საბოლოოდ, კი შემოწმებას ახორციელებს კონტროლის პალატა.

დეპუტატ, **ელისო ჭიჭინაძის** აზრით, გზების მოხრეშვაზე გაწეული ხარჯი არის ფუჭად გადაყრილი ფული, რადგან ყოველი გაწვიმების შემდეგ გზა ირეცხება და წყალს მიაქვს. ის ასევე ეთანხმება კოლეგებს, რომ უნდა დასაქმდეს ადგილობრივი მეწარმე. ამის შემდეგ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სოფელ ლესაში წყლის მაგისტრალთან დაკავშირებით დაწერილი აქვს განცხადება. სოფლის მოსახლეობის მოთხოვნაა მისი მოწესრიგება, რადგან მიწები იქნა არასწორად ჩაყრილი, რის გამოც წყლის მიწოდება შეფერხებულია. დეპუტატი დაინტერესდა, ვის უნდა მოეთხოვოს აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი. მან მადლობა გადაიხადა იმასთან დაკავშირებით, რაც უკვე გაკეთებულია და რის გაკეთებაც სამომავლოდ იგეგმება, მაგრამ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ დეპუტატი შეყვანილ იქნას კომისიაში, რადგან ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში პროექტების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

დეპუტატმა, **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელთან და გამგებლის წარმომადგენელთან ერთად მოინახულა შეროზიების და გოროზიების უბნები, მაგრამ ისინი მაინც არ არიან შეტანილი ჩამონათვალში. პარლამენტის წევრს, ნინო

წილოსანს რომ არ ჩამოეყვანა ქუთაისიდან სპეციალისტები, ეს უზნები საერთოდ უყურადღებოდ დარჩებოდნენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, სტიქიის დღესვე მონახულა აღნიშნული უზნები. იქ არსებული პრობლემა დაახლოებით 40 წლისაა. ადგილზე ასევე იმყოფებოდნენ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლებიც გააკეთებენ სათანადო პროექტს. ეს უზნები ჩამონათვალში ვერ იქნებიან, რადგან აღნიშნული პრობლემის მოგვარება არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში, რადგან ეს საგზაო დეპარტამენტის ტერიტორიაა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N 56 (11.07. 2017 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო